**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 159 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 159

**წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


**ილია მიხეილის ძე ხარაევი შვილებითურთ** და **აბრამ ილიას ძე ტურიევი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ კვირას, 11 ივლისს, დილის 10 საათზედ, პეტრე-პავლეს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი, პირველის—მეუღლისა და მეორის—დისა

## დარია ილიას ასულის ხარაევის

სულის მოსახსენებლად. (2—1).

## რედაქციისაგან

**პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია" ჰღირს 6 მან.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.


გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი ია ეკალაძისა.

(ავტორის სურათით).

**ფასი ერთი მანეთი.**

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან. (15—13).


ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული

## აცხადებს, რომ

კვირას, 11 ივლისს, წირვის შემდეგ,

**დასიშნულია**

## არჩევანი

ხსენებულის ეკლესიის მნათესი (სტაროსტა). (2—2).


## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აგეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი კ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 12—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემანი:

## ვაი ჭკუისაგან

ა. გრიბოედოვისა, ლექსად თარგმნილი განდეგილისაგან.

ისყიდება აგრეთვე «წერა-კითხვის საზოგადოებაში» და «ცოდნის» წიგნის მაღაზიებში

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

## შექსპირის პიესები

თარგმნილები ივ. მაჩაბლის მიერ, რომელიც შეძენილი აქვს ქართ. დრამ. საზოგადოებას.

მსურველთ უნდა მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს. (4—2),


# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

დაშიცაოს მიდამოები.—იაპონელების სტრატეგია.—პორტ-არტურთან.—წვრილი ცნობები.

დაშიცაოდგან დეპეშით იუწყებიან 2 ივლისს:

დღეს დილით ზარბაზნების გრიალი გაისმა. ეს ჩვენი ჯარი ისვრის, რომელიც გამოსაკვლევად არის გაგზავნილი. სამხრეთისკენ მიმავალი არტილერია მაღლობებს უმიზნებს ზარბაზანს, რომ მტერი აღმოაჩინოს და გაიგოს, ვის სად და რა ადვილი უჭირავს.

საათ-ნახევარს ირგვლივ 45 ვერსის მანძილი სულ ტყვია-ყუმბარით აავსეს, ხოლო იაპონელების ჭაჭანებაც არსად არის გაიჯოუს გზამდე. ამბობენ, იაპონელებმა უკან იმიტომ დაიწიეს, რომ პორტ-არტურთან ბევრი მეომარი დაეღუპათო. როგორც სხვა და სხვა ცნობებიდგანა სჩანს, ქვანდუნის ნახევარ კუნძულზედ იაპონელებმა 28,000 მეომარი დაჰკარგეს. ამისთანა ზიანი, რასაკვირველია, შესამჩნევად დაასუსტებდა გენერალ ოქუს ლაშქარსაო.

ჩინელები ირწმუნებიან, დღეს დილით მრავალი სატრანსპორტო გემები უნახავთ ზღვაზედ ინკოუსკენ მიმავალი. გემებს ნაღმოსნები მისდევენო.

ცნობები მოვიდა, ვითომც მდინარე ლიაოხეს იქით, აღმოსავლეთად, იაპონელებს 10 ყუთი გაუგზავნიათ ვერცხლით სავსე. თან რამდენიმე აფიცერი და ჯარის კაცი გაჰყოლია, ჩინურად ჩაცმული. ჩვენი მესაზღვრენი დასდევნებიან.

ხარბინს ახლო რკინის გზის მატარებელს, რომელშიაც რუსის ჯარი იყო, ხუნხუზები დასცემიან. რკინის გზის ლიანდაგს ახლო ჩასაფრებულან და სროლა აუტეხიათ. მაშივე მატარებელი შეჩერებულა, ჯარის კაცები ხამოსულან, ხუნხუზებს წაჰკიდებიან და გაუქცევიათ. ჯარის კაცთაგან არავინ დაჭრილა. ვაგონები კი ტყვიით არის დახვრეტილი.

იქიდანვე 3 ივლისს იწერებიან დეპეშით:

დღესაც ზარბაზნის გრიალი იყო დასავლეთისკენ. ზღვაზე გემები მოსჩანდა, რომლებიც ყუმბარებს ესროდნენ გაიჯოუს სიმაგრეს. ჰფიქრობენ, ეს ჩვენი პორტ-არტურის ესკადრა იქმნებოდაო.

იაპონელების მდგომარეობა ამ ჟამად მოუხერხებელია. მთის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და იქიდან ჩრდილოეთისკენ ჯარია გაჭიმული, მარცხენა ფრთა გაიჯოუსთან აქვს, დაუჭერია დალინის, მოდულინისა და ფინ-შუილინის უღელტეხილები და უკან კი უსწორ-მასწორო მთა-ხეობები ელობება. უგზოობისა გამო, იაპონელთა ჯარის მომეტებული ნაწილი ზღვას დაშორდა. ამისთანავე ძალიან ადვილია რამდენსამე ნაწილად გასჭრას რუსის ჯარმა და ცალკ-ცალკე დაამარცხოს. რადგან სურსათი დროზედ ვერ მიაქვთ, იაპონიის ჯარი გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

—

გუშინ გენერალ მიშჩენკოს რაზმში ექვსი იაპონელი გადმოსულა და ნებაყოფლობით ტყვედ მისცემიან რუსებს. იმათ უთქვამთ, იაპონელების ჯარში სიმშილია და ხოლერაც გავრცელდაო. ისინი ამბობენ, ჯარის კაცები ლოთობენო. ტყვედ წამოყვანილ იაპონელთა შორის მომეტებული ნაწილი მთვრალი ყოფილა. ყოველ ბრძოლის წინად დაბალ ჯარის კაცებს არაყს ასმევენ თურმე. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ბრძოლის შემდეგ იაპონელები მეტად მაღლილი, მოქანცულები და სულ მოდუნებულნი არიან. (ნოვ.).

—

ტიან-ძინიდგან ფრანგულ გაზეთს «ტანს» სწერენ 12 ივნისს:

ომის ველიდგან ახალი ამბავი აღარა მოსულა-რა.

საიდუმლოებით მოცულ ჩინეთს ძალიან აღელვებს და აშფოთებს ზღვისა და ხმელეთის ამბები. ყველას იმედი აქვს, რომ პორტ-არტური მალე დაემხობა.

იაპონელები ჯგუფ-ჯგუფად მიდიან რუსებზე იერიშის დროს და ყურადღებას არ აქცევენ დანაკარგს, რაც უნდა დიდი იყოს. ის აფიცრები, რომლებსაც ცხარე ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა იალუსა და ძინ-ჯოუსთან, ამბობენ, იაპონელები ნიაღვარივით გვაწვებოდნენო. რაც მეტი იხოცებოდა, მით უფრო სწრაფად და მძლავრად გვაწვებოდნენ. მაგრამ, ჩემის აზრითო,—ამბობს, «ტანის» კორესპონდენტი,—ჯერ არ ითქმის, რითი გათავდება ომი. ჯერ დიდი ომი არა ყოფილა და აქამომდე იაპონელები მხოლოდ იმიტომ იმარჯვებდნენ, რომ მრავლად იყვნენო.

როდესაც მთლად რუსის ჯარი თავს მოიყრის და ახალი ჯარიც ჩაერევა ბრძოლაში, როდესაც ორთავ მხარეს ერთნაირი ძალა ექმნებათ, იაპონელები ველარას გახდებიან და, თუ რუსის ჯარს დაეცნენ, დიდად დაზიანდებიან.

საყურადღებოა კიდევ ის ამბავი, რომ აქამომდე ხელდახელ ხიშტით შეტაკებას ერიდებიან. ეს ერთად-ერთი სუსტი მხარეა იაპონელებისა და ამ გვარ ბრძოლაში რუსები აჯობებენო. (პ. ვ.).

—

გაზეთი „ნ. ფრ. პრეს." ამბობს: რაკი გენერალმა კუროკიმ თავის ლაშქარის უმთავრესი ნაწილი ლიაოიანსა და მუკდენს დაუახლოვა და გენერალ ოქუმ გაიჯოუ დაიჭირა, საფიქრებელია, რომ მალე დიდი ომი უნდა მოხდეს. თუ რომ რუსები დამარცხდნენ, მაშინ ახალი ჯარი უნდა გამოითხოვონ ევროპიდგან და ზამთრამდე ბრძოლა აღარ მოხერხდება.

გაზეთი «ვენ. ტაგ.» ამბობს: როგორც ეტყობა, იაპონელები პირველ ხანსაც მცირე გამარჯვებას არ დასჯერდებიან და ეცდებიან მალე დაეცნენ რუსის ლაშქარს და ცხარედ შეებრძოლონ, თუ რომ თავისი წადილი, სხვა-ფრივ ვერ განახორციელეს. თუ რომ ეს მოახერხესო,—ამბობს გაზეთი «ტაგებლ.»,—მაშინ მანჯურია მუკდენამდე სულ იაპონელების ხელთ გადავა. მარშალ ოიამა მანჯურიაში მისვლა სწორედ იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ მალე დიდი ომია მოსალოდნელიო.

გაზეთი «მორნ. პოსტი» ამბობს: გაიჯოუს აღების შემდეგ იაპონელები მთლად ლაოდუნის ნახევარ-კუნძულზე გაბატონდნენ და რუსები-კი იძულებულნი იქმნებიან ნიუ-ჯუანიც მიატოვონო. ამ ქალაქის დაჭერას იაპონელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ჩინელების ჯარს დაუმეზობლდებიან და ურთიერთობას იქონიებენ. ამისთანა მეზობლობა ძალიან საშიშია გენერალ კუროპატკინის ლაშქრისათვისაო.

გაზეთი «ვენ. ექსტრაბ.» ამბობს: გაიჯოუს დაჭერის შემდეგ იაპონელები სურსათს სულ ზღვით დაუწყებენ ზიდვას და ამავე დროს გენერალ კუროპატკინსა და პორტ-არტურს შორის ყოველი კავშირი შესწყდებაო. (პ. ვ.)

—

გაზეთ «დელი ექსპ.»-ს კორესპონდენტი დეპეშით ატყობინებს: პორტ-არტურიდგან მოსულ ჩინელებს ველაპარაკე და, როგორც იმათ საუბრიდგან გავიგე, იაპონელები მალე მიიტანენ ციხეზე იერიშსაო.

ადმირალ ტოგოს ესკადრას რამდენიმე სამხედრო გემი მიჰმატებია, სასებოდგან გამოგზავნილი. ეს ის გემები უნდა იყოს, რომლებიც ომში დაზიანდნენ და შემდეგ სასებოში შეაკეთეს. პორტ-არტურს გარშემო იაპონელებს 150,000 მეომარი უნჰყავდეთ და ფლოტსა და ხმელეთზე ასი ციხის სანგრევი ზარბაზანი ჰქონდეთ. წარსულ კვირას იაპონელებმა იერიში მიიტანეს დასავლეთ ფორტებზე, მაგრამ რუსებმა ფუგასები ააფეთქეს და იაპონელები მრავლად დაჰღუპეს, ამბობენ 2,800 კაციო.

ნაგასაკში თოფ-წამლის ქარხნები დღე და ღამ მუშაობენ. სამს თვეში 385 ზარბაზანი ჩამოუსხამთ სხვა და სხვა ზომისა. ყოველ დღე 200 თოფი გამოდის და 1,000 პატრონას აკეთებენ. (რ. ვ.)

# ტფილისი

** პორტ-არტურში მყოფ წითელის ჯვრის სასანიტარო რაზმის ექიმის ბ. ნ. ალაპიევის ნათესავებმა ტფილისში 2 ივლისს შემდეგი დეპეშა მიიღეს პორტ-არტურიდგან ხარბინის გზით: «ვმუშაობთ პორტ-არტურში; ჯანმრთელად ვართ, გაკოცებთ ყველას; სალამი ნაცნობთ». ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ პორტ-არტურს ისე მჭიდ-

როდ არა აქვს ალყა შემორტყმული, რომ იქიდგან ცნობების მილება შეუძლებელი იყოს.

*** ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის დანგრევა მალე დამთავრდება. დანგრევისა და სატაძრო ადგილიდან სხვა და სხვა მასალის გარედ გატანის შემდეგ შეუდგებიან ახალის ეკლესიის აშენებას სამთავისის მშვენიერის ტაძრის გეგმაზე... ბევრი ჯაფა და შრომა მთელის ეკლესიის წინამძღვარს მამა კალ. ცინცაძეს ტაძრის აშენებაში, მაგრამ იმედია, ეს პატივცემული ქართველი მოძღვარი სძლევს თვისის ჩვეულებრივის ენერგიით ყოველს დაბრკოლებას და ამ სახელოვანს საქმეს სასიქადულოდ დაამთავრებს.

*** როგორც ვიცით, გორის ეპისკოპოსი ბენიამინე დანიშნულ იქმნა სოხუმის ეპარქიის დროებით გამგედ. ამის გამო ყველა ის საქმე, რომელიც აქამომდე ყოვლად სამღვდელო ბენიამინეს ჰქონდა დაკისრებული, ალავერდის ეპისკოპოსს, ყოვლად სამღვდელო ექვთიმეს გადაეცა, მაგალითად, მედავითნეების განწესება, თავმჯდომარეობა საოლქო საბჭოში და სხვა.

*** მკითხველთ უკვე იციან, რომ გამოიცა ახალი კანონი, რომლის ძალითაც ქალებს შეუძლიანთ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მოხელეებად შესვლა. ამის შესახებ შემდეგ ცნობებს მივაწვდით მკითხველთ: სამსახურში მიიღებენ ყველა ქალს, მხოლოდ უპირატესობა ეძლევათ გასათხოვარ ქალთა და უშვილო ქვრივებს, 18-დან—35 წლამდე (წინად 17—25 წლამდე იღებდნენ, შემდეგ-კი არა). თხოვნაზედ უნდა იყოს დაკრული 1 მან. 20 კაპ. ღერბის მარკა. თხოვნები უნდა მიართვან ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს; თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთებია საჭირო: 1) განათლების ცენზის მოწმობა (მთხოვნელს უნდა ჰქონდეს გათავებული გიმნაზიის 4 კლასი, პროგიმნაზია, საეპარქიო და სხვა ამის შესაფერი სასწავლებელი); 2) მოწმობა დაბადება-მონათვლისა; 3) მოწმობა ადგილობრივ გუბერნატორისა, რომ მთხოვნელი კეთილ-საიმედოა; 4) მოწმობა ექიმისა ჯანმრთელობის შესახებ; ყველა ამას გარდა, იმ გასათხოვარ ქალებსა, რომელთაც 21 წელი არ შესრულებიათ, უნდა წარუდგინონ მოწმობა მშობელთა ან აპეკუნთა, რომ ეს უკანასკნელნი თანახმანი არიან მთხოვნელის სამსახურში განწესებისა. სამსახურში მიღებულმა ქალებმა, ვიდრე იმათ ფოსტა-ტელეგრაფის მე-6 ხარისხის მოხელეებად ჩარიცხავდნენ, უნდა შეისწავლონ საფოსტო-სატელეგრაფო საქმე, რომელ განყოფილებასაც აირჩევენ და ამ ხნის განმავლობაში ჯამაგირი არ მიეცემათ. როდესაც სამსახურისათვის დადგენილს ეგზამენს დაიჭერენ, ჩაირიცხებიან ფოსტა-ტელეგრაფის მე-6 რიგის მოხელეებად, მაგრამ პირველ სამ წელიწადს იმსახურებენ, როგორც კერძოდ დაქირავებულნი, ხოლო შემდეგ კი სახელმწიფო სამსახურში ჩაირიცხებიან და მიეცემათ ყოველივე ის უფლება-უპირატესობანი სახელმწიფო სამსახურისა (პენსია, შემწეობა და სხვ.), რომელიც ამიერ-კავკასიაში არის შემოღებული. რაც შეეხება იმ ქალებს, რომელთაც გიმნაზიისა ან იმის შესაფერ სასწავლებლის სრული კურსი გაუთავებიათ და ატესტატი აქვთ, აგრედვე იციან ფრანგული და გერმანული ენები, იმათ, სამსახურის საქმის შესწავლის შემდეგ, ჩარიცხავენ მე-5 რიგის მოხელეებად პირდაპირ სახელმწიფო სამსახურში. მოხელე-ქალებს შეუძლიანთ შეასრულონ ყველა ის თანამდებობა, რასაც ახლა მოხელე-ვაჟები ასრულებენ, გარდა ტელეგრაფის სატეხნიკო ზედამხედველისა.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის შეგირდების მიერ გაკეთებულ სხვა და სხვა ავეჯეულობისაგან ქალაქს კარგი შემოსავალი ჰქონდა. ამ ბოლოს დროს კი ამ შემოსავალმა ძლიერ იკლო. ქალაქის გამგეობა ამის გამო შეეკითხა ტფ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს და მოსთხოვა განმარტება, რა არის მიზეზი, რომ სახელოსნო სასწავლებლის შემოსავალმა იკლო. გუშინ, 9 ივლისს, ხსენებულ სასწავლებლის დირექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ქაღალდი, რომლითაც განუმარტა, სახელოსნო სასწავლებლის შემოსავალმა იმიტომ იკლო, რომ წინად სასწავლებელი კერძოდ შემოკვეთილს საქმეებსაც იღებდა, მოსწავლეთ ამზადებინებდა და აქედგან ქალაქს კარგი შემოსავალი რჩებოდათ. ეხლა კი, დირექტორის განკარგულებით, კერძოდ შემოკვეთილს საქმეს აღარ იღებს სასწავლებელი, რადგანაც პედაგოგიურის მხრივ ეს მავნებელია მოწაფეთათვისო. 1899 წ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ტფილისში მოიწვია კრება კავკასიის ყველა სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებლის დირექტორთა და ამ კრებამ არა სცნო სასურველად, რომ სასწავლებლის მოწაფენი კერძო საქმეებსაც ასრულებდნენ. ამასთანავე იმ კრებამ შეიმუშავა განსაკუთრებული კათალოგი, რომელშიაც აღნიშნულია, თუ რა-და-რა კერძო საქმეების მიღება შეიძლება სახელოსნო სასწავლებელში. დირექტორმა დასძინა აგრედვე, რომ ხშირად სასწავლებელ გარეშე ხელოსან-მუშებსაც იწვევდა სამუშაოდ. რაც სასურველი არ იყო მოწაფეთათვის, რადგანაც ბევრი საქმე ჰქონდა და მარტო მოწაფეები ვერ ასდიოდნენო; აქედანაც კარგი შემოსავალი რჩებოდა ქალაქს, მაგრამ ესეც მოვსპეო. თუ მაინცა-და-მაინც ქალაქს სურს, რომ შემოსავალმა იმატოს, გააფართოვოს სახელოსნოები, მოიწვიოს კერძო მუშა-ხელოსნები, აიღოს სხვა და სხვა კერძო საქმეები დასამზადებლად და სურვილი განუხორციელდებაო.

*** «სევილიელი დალაქი», ოპერა ორ მოქმედებად, მუსიკა როსსინისა, ამ ჟამად უკვე ითარგმნება და ახლო მომავალში სრულიად მზად იქმნება. ამ ოპერას მომავალს სეზონში წარმოადგენენ ქართულს ენაზედ.

*** ბ-ნი ტფილისის პოლიცმეისტერი, ეს სამი დღეა, ათვალიერებს ტფილისის ქუჩებსა, მოედნებსა და სავაჭრო ქუჩებს და სისუფთავის დასაცველად საჭირო განკარგულებას აძლევს. კარგი კი იქნებოდა, ბ-ნ პოლიცმეისტერს ყურადღება მიექცია იმ გარემოებისთვისაც, რომ მეეზოვეთ დილა-ადრიანად, სანამ ხალხის მოძრაობა დაიწყებოდეს, დაჰგავონ ეზო-ქუჩები და მოედნები. ამის თაობაზედ არა ერთხელ და ორჯერ დაწერილა გაზეთებში, მაგრამ სად არის გამგონი! მეეზოვენი ქუჩებს სწორედ იმ დროს დაუწყებენ დაგვა-დასუფთავებას, როდესაც ხალხი მოძრაობას დაიწყებს. თუ მაინცა-და-მაინც უთუოდ შუადღე-საღამოთი უნდა დაიგავოს ქუჩები, დაავალონ მაინც, რომ მორწყონ! თორემ ტფილისის მცხოვრებთ თითო გირვანქა მტვერის ყლაპვა ყოველ დღე ხეირს არ დააყრის!

*** როგორც ამბობენ, ამას წინად გურიაში, დ. ლანჩხუთში, მოუკლავთ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ბლაღოჩინი მ. ნიკო რამიშვილი.

*** ბათუმის ტაძრის მღვდელმა, მ. მიხეილ ჩხიკვაძემ, მართლ-მადიდებელთა ეკლესიას შეუერთა რიაზანის გუბერნიის მცხოვრები, გლეხის ქალი ტატიანა დეევისა, სტაროობრიადთა სარწმუნოებისა, და შავის ზღვის პირის გუბერნიის მცხოვრებნი: ანნა ფრიმელი, 18 წლისა, და ბარბარე დვორჟაკი, 39 წლისა, კათოლიკეთა სარწმუნოებისანი.

*** შარშან-წინ, 1-ლ ოკდომბერს, მცხეთაში მატარებელმა გასრისა ტფილისის მცხოვრები ასოთ-ამწყობი ვ. ვ. კანდაბაროვი. რათა დაუვიწყარ-ჰყოს მისი ხსენება, განსვენებულის ძმას, ს. ვ. კანდაბაროვს, რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად შეუწირავს 10 მანეთი.

*** კავკასიის სამოქალაქო უწყების სამედიცინო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ სპარსეთიდგან ფოსტით მიღებული წერილები და ამანათები უდეზინფექციოდ არ ჩააბარონ ადრესატებს ფოსტის მოხელეებმა.

*** რაკი სპარსეთში ხოლერა გაჩნდა, კავკასიის ყველა ქალაქებს, და სხვა დაწესებულებათ ციებ-ცხელება შეუდგათ და უკვე მიიღეს საჭირო ღონისძიებანი, რომ კავკასიაშიაც არ გაჩნდეს ხოლერა. ამ საერთო ფერხულს მხოლოდ ქუთაისი ჩამორჩა: აქ ჯერ არც ქალაქის გამგეობა და არც სხვა დაწესებულებანი ყურს არ იბერტყს.

*** ტფილისის სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარემ, ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა, გუშინ-წინ მიჰმართა ტფილისის ყველა ექიმებს და სთხოვა, რომ დახმარება გაუწიონ სასანიტარო კომისიას და ყოველ საეჭვო ავადმყოფთა შესახებ ცნობები მიაწოდონ.

*** ტფილისის სასანიტარო-აღმასრულებელმა კომისიამ ოთხშაბათს, 7 ივლისს, დაადგინა, სთხოვოს კავკასიის უმაღლესს სამკურნალო გამგეობას, სასანიტარო კომისიას უგზავნოს ცნობები სპარსეთში ხოლერის მიმდინარეობის შესახებ:

*** თეირანს გარდა, როგორც სარწმუნოდ იუწყებიან, ხოლერა გაჩენილა სპარსეთის მეორე ქალაქ ყაზვინშიაც.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ და ხორცზე ნიხრის დამწესებელმა კომისიამ საჭიროდ სცნო ხორცზედ ნიხრის დაკლება. 1-ლ ხარისხის ხორცზედ დადგენილ იქმნა 11 კაპ., მეორეზედ—10 კაპ. და მესამეზედ—7 კაპ. ეს დადგენილება ქალაქის მოურავის მოადგილემ, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა, გუშინ-წინ, 8 ივლისს, წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად.

*** რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნაკი: «Производство искусственнаго шелка (вискоза)», ინჟენ. თავ. ა. ი. ჯავახიშვილისა. ეს თხუზლება თავ. ჯავახიშვილს მოხსენებად წაუკითხავს რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების ადესის განყოფილების ქიმიურს ნაწილში, 28 თებერვალს 1904 წ.; ეს წიგნაკი დაბეჭდილია ადესაში, სუფთადაა გამოცემული და შეიცავს 14 გვერდს.

## ჩვენებური ამბები

**ქ. თელავი.** ვერ იქმნა და ვერ დადგა ფეხზე თელავის წიგნთ-საცავი. ვერც გამგეობის გამოცვლამ უშველა, ვერც საწევრო ფულის დაკლებამ და ისევ იმ უნუგეშო მდგმარეობაში იმყოფება, როგორც წინად იყო, თუმცა-კი წევრთა რიცხვი თან-და-თან მატულობს, მაგრამ ბევრი მათგანი არამც თუ დაიარება ბიბლიოთეკაში, არამედ არც-კი იციან, სად იმყოფება ბიბლიოთეკა. ესენი თითო მანეთს არ იშურებენ წელიწადში და, როგორც საქველ-მოქმედო დაწესებულებას, სწირავენ. თვით ბიბლიოთეკა შეუფერებელ ოთახშია მოთავსებული, ზამთარში მკითხველი დიდხანს ვერ გაჩერებულა სიცივის გამო და ახლა შუშები დაემტვრა და ამის ჩასხმაც კი ვერ უთავებიათ. ამას გარდა ნოეს-დროინდელი ავეჯი, თუ ასე შეგვიძლიან ვუწოდოთ 2 დანჯღრეულ შკაფს, ძრიელ დაძველდა და გამოცვლას თხოულობს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ნეტა ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას. გაზეთებს იწერენ მისთვის, რომ წაკითხვის შემდეგ წლის ბოლოს ფუთობით გაჰყიდონ. უცხო კაცებს რამდენჯერ მიუმართავთ ბიბლიოთეკაში ძველ რაიმე ცნობისათვის და გაკვირვებულნი დარჩენილან, როცა გამოუცხადებიათ, რომ ძველი გაზეთები აღარ გახლავთ, გავყიდეთო. ჟურნალები დაუკაზმავი რჩება და სულ იშლება, წიგნები ხომ ძრიელ ნაკლებათ მოიპოვება და ისიც იკარგება, რადგან წესიერი პატრონობა აკლია. არც ერთ გამგეს მეორესთვის არ ჩაუბარებია, არც ჟურნალ-გაზეთები, არც ქონება, ასე რომ პასუხის მგებელი არავინ არის. ფული-კი, მადლობა ღმერთს, მოეპოვება, შარშან ზაფხულს სეირნობა და წარმოდგენა გაჰმართეს მის სასარგებლოდ და 400 მან. მეტი შემოვიდა.

ეს ფულიც, როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, შემნახველ კასაში არც კი ჰქონიათ შენახული, ხელში ჰქონიათ და ისე უხარჯნიათ ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის. მაგრამ განა ეს ყველა გასაკვირველია?! ერთი კი ამოირჩევენ გამგეთ და თავს მიანებებენ. ამას გარდა რევიზიის კომისიაცა ჰყავს, სამის წევრისაგან შემდგარი, მაგრამ მგონი ამასაც სახელისთვის ირჩევენ და საქმით კი ვერასა ვხედავთ. ამ თანამდებობას „ей Богу не могу“-ს შემდეგ ღიმილით იღებენ და ოქმშიაც იწერება.

---

# ფელეტონი

### ნახული და გაგონილი.

### XI

### ვ ა რ ძ ი ა.

გენერალ ფელდმარშალი ი. თ. პასკევიჩი მთავარმართველობდა საქართველოში 1827 წ. 27 მარტიდან 1831 წლის აპრილამდე. თ. ციციშვილიდან დაწყებული თ. ვორონცოვამდე საქართველოს მთავარმართებელნი ყომბობდნენ ოსმალეთსა და სპარსეთს «საქართველოს» სახელით. ყირიმის ომის დროს ეს სახელი და საბაბი დავისა თითქმის აღარ იხსენიება, შემდეგ ხომ მისი სახსენებელი სრულიად წაიხოცა და გაჰქრა. სწორედ ამ პასკევიჩმა გამოჰგლიჯა ხელიდან ოსმალეთს მესხეთის ნაწილი და დაუბრუნა საქართველოს მისი ძველი სამკვიდრო. ვარძიაც საქართველოს ამ სარდლის დროს შემოუერთდა.

დიდ-თონელებმა მიამბეს, რომ პასკევიჩმა ჩვენს მამა-პაპას უწყალობა, ეხლა რომ საძოვარი ადგილები გვიჭირავსო. გაგვიგონია, რომ პასკევიჩისათვის რაღაც დიდი სამსახური გაუწევიათ ჩვენებსაო.

ფრიად საყურადღებოა ეს მოთხრობა. მე მეგონა, რომ ქართლელი კუტივით უძრავია და თვით «რუსული მეხიც» ვერ შეანძრევს მის დუნცხობასა-მეთქი. თონელების ისტორია-კი წინააღმდეგს გვასწავებს: სჩანს, შესაძლებელი ყოფილა, ხელი რომ გაენძრია ვისმე, ან უნარი და ეროვნული წინდახედულობა გამოეჩინა, მთელი ახლად შეძენილი ნაწილი მესხეთისა, ჯავახეთი და ახალციხე, სულ ქართველობით მოგვეფინებოდა. ცოტაოდენი მართლმადიდებელნი ადგილობრივ მოიპოვებოდა, ნაწილი გამაჰმადიანებულთ ქართველობისა სიხარულით დაუბრუნებოდა ქართველობას, რადგან სარწმუნოება გამოეცვალათ შიშისა და დევნისა გამო და ჯერ ქართველური გული არ გასციებოდათ. მაშასადამე, ერთი ხუთასიოდე კომლი რომ მოგვეძებნა, ორთავე მაზრას დავიჭერდით, მაგრამ მაგარი ის არის, რომ საქართველოს გულშემატკივარი პატრონი არ გამოუჩნდა და ერიდ შეთხელებულ კუთხისკენ არავინ გადმოასახლეს.

1829 წელს ახალციხის ოლქის უფროსად იყო დიდად ცნობილი ჩვენში ქართველი თავადიშვილი ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილი და, ჩემის ფიქრით, ამ ქართველ კაცის უფროსობის დროს სულ ადვილი იქნებოდა მესხეთის შევსება ქართველებით. მაშინდელი რუსის მთავრობა ამ კეთილის განზრახვის ასრულებისათვის მარტო «სისხლის ჯვრით» არ დააჯილდოვებდა «მამულის მოყვარე» ქართველს მოღვაწეს, კაი ზორბა რომელისამე გაქცეულის ბეგის მამულსაც უწყალობებდა. სწორედ სასიამოვნო იქნებოდა მთავრობისთვის ქართველთა კოლონიზაცია. რუსის მთავრობის მართვა-გამგეობის შესწავლამ მეცხრამეტე საუკუნეში ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მათქმევინა აქ მოყვანილი მოსაზრება. ნურც იმაზე ამიხირდებით, რომ თ. ბებუთაშვილი, როგორც სომხის ჩამომავალი, თანაგრძნობით არ მოეკიდებოდა ქართველთა კოლონიზაციას, თუ კი ვინმე ამ საქმეს ითავებდა და პასკევიჩს თვალს აუხელდა. სომხეთა ტომის ქართველთა თავადიშვილებმა ყარაბაღელთა და ერევნელთა გავლენით დღეს დაიწყეს «აზნაურობა», თორემ მაშინ, 1829 წელს, სად იყო ეს ახალი ხილი? წარსულს საუკუნის დასაწყისში დიდი და საპატიო იყო ქართველის სახელი. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ორმოც-სამოცის წლის შემდეგ ქართველის სახელი ვიგინდარაების და ყავ-ყორანთა საკორტნელად გარდაიქცეოდა!

ესეც-კია სათქმელი, რომ მაშინდელის საქართველოს სოციალური წეს-წყობილება გულს დაუთუთქავდა, კიდეც რომ გამოჩენილიყო მადლიანი პატრიოტი. რუსობის დროს ჩვენებური პატრიარქალური ბატონ-ყმობა ფრთებს ისხამდა და, «ვარდივით იფურჩქნებოდა.» გაქცეულ ყმებს თავადები გამოუყენებდნენ ხოლმე წვრილ-ფეხა აზნაურებს და იჭერდნენ, საცა-კი მოასწრებდნენ, როგორც იჭერენ გარეულს ცხენს ქამანდით. რომელი თავადი გაიწყვეტდა «ლუკმა პურს» და გაუშვებდა ნება-ყოფლობით თვის მარჩენალს ყმასა?

საეკლესიო და სახასო გლეხნი? არც ამათ უჭირდათ ისე, როგორც ეხლა და ადვილად არ აიბარგებოდნენ მამა-პაპეულიდგან. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ თუმცა დაბრკოლება დიდი იქნებოდა, საქმე კეთილად დაგვირგვინდებოდა, თავი რომ ვისმე გამოედო. ოღონდ გლეხს ბლომად მამული დაჰპირდი, შეღავათი აღუთქვი და სად არ წავა? კარაპეტა ეპისკოპოსისთანა, ან პოლკოვნიკ ლაზარე იაკიმის ძის ლაზარევისთანა კაცი რომ გამოჩენილიყო ჩვენში, მაშინ ჰნახავდით, როგორ დაითრგუნებოდა ყოველი დაბრკოლება...

რაკი პასკევიჩმა თვით საქართველოში «მუშტარი» ვერ იშოვნა მესხეთის დასასახლებლად, სომხები წამოიყვანა არზრუმიდან. ბ-ნ ეზოვის ცნობით, მაშინ მოსულა 14,000 ოჯახი. დაბინავდა ზოგი ქ. ახალციხესა და ახალქალაქს, ზოგი—მაზრებში, ზოგი—გუმბრსა და მის მაზრაში და ზოგიც გაიფანტა ამიერ-კავკასიაში. აი სწორედ ეს შემოხიზნული სომხობა და ჩვენსავე დარჩენილი თარაქამა-ქურთობა რკინის რგოლივით შემოევლო ვარძიას. უკვე მოგახსენეთ, რომ მხოლოდ ოთხი პატარა სოფელი: აფნია, გოგაშენი, აგარა და ზედათმოგვი ობლად შესცქერის ვარძიას მეთქი. მაშინ ნუღარ გეუცხოვებათ ჩემი გაკვირვება და სიხარული, ოდეს შემომესმა ვარძიობას შორიდან მშობლიური «სუფრული» და სიამოვნებით ამიძგერა გული.

მეორე დღეს, 15 მარიამობისთვეს, ძალიან ადრე დაიწყო ერმა დაშლა. ღვთისმშობლის დიდ ეკლესიაში შეველი და მლოცველთა ფიზიანომიას ვაკვირდებოდი. სწორედ ბევრი რამ მეუცხოვა. მლოცველთა შორის ძალიან ბევრი შევამჩნიე ბერძნობა. რა ვქნა, საიდან გაჩნდა ამოდენა ბერძენი აქ, ამ სიშორეზე? მთელ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრაში მხოლოდ ერთი პატარა სოფელია, სულ 18 კომლიანი, სახელად მიქელწმინდა, ქ. ახალციხის ახლო კიდევ გორის მაზრის ს. ციხის-ჯვარი, ბერძნებით დასახლებული, ცოტათი ემხრობა ვარძიას. მორჩა და გათავდა. მაშ, საიდან მოზღვავდა ამდენი ბერძნობა? კითხვა-კითხვით გავიკვლიე, რომ ბერძნები მოსულან ბორჩალოდან, წალკიდან, რატევანიდან, ბორჯომისა და ატენის ხეობიდან (მარტო ბორჯომიდან ვარძიამდე 110 ვერსია), ყარსიდან, განჯიდან, და კიდევ, ვინ იცის, საიდან. ასე გაშინჯეთ, ყურძენიც-კი მოეტანათ საკურთხევლად. ეს კიდევ არაფერი: ისე გულმოდგინედ ლოცულობდნენ, ისეთ დიდ კელაპტრებს ანთებდნენ, რომ სწორედ საკვირველი იყო. ეს რა ამბავია,—ვეკითხები ჩემს თავს,—რად ეტანება ასე გულმხურვალედ ეს სამშობლოს მოკლებული ერი ვარძიას? ხომ არა სურს აქ, ვარძიაში, იპოვნოს ისრაელივით გაბნეულმა ერმა თვისი «წმიდათა წმიდა», დასდოს საფუძველი და მერმე... დაისაკუთროს? ეჭვების ბლანდების ბადეში გავები. კარგად ვიცნობ დღევანდელს «გაოსმალოებულს» ბერძენს, რომლის ძარღვებში კლასიკურის ბერძნის სისხლი ნაკლებად სჩქეფს, უფრო-კი იმ ველურ სლავიანთა ტომისაა, ბალკანეთსა და პელოპონესს რომ შეესია. ვარძიაზე ნაკლებ არ არიან განთქმულნი საქართველოში სხვა საყდარ-მონასტერნი, უფრო სამხრო მათთვის, ვიდრე ვარძიაა, რატომ იქით არ მიიკლავენ თავსა ეს ჩვენი მეორე „პატივცემულნი სტუმარნი“, თუ მართლა მარტოოდენ რელიგიური გრძნობა აგულიანებს და აღფრთოვანებს? მე ჩემად გამოცანა გამოვიცანი და თქვენი რა მოგახსენოთ. მოისმინეთ.

შესანიშნავის და სახელ-მორჭმულის აბაშეთის რაინდის აშინოვის თანამოღვაწე არქიმანდრიტ მამა პაისის დამკვიდრებამდე საფარას, «დიდებულ მესხეთის» ამ მეორე ბურჯსა, დარაჯობდა მხოლოდ ერთად-ერთი ქართველი მწირი, სახელად ქრისტესია. ბევრჯელ მინახავს ყმაწვილობაში ეს თავგადადებული მამულისშვილი შუა გულ ქართლში, საზრდოს მოსაგროვებლად რომ დადიოდა. რა მაფიქრებინებდა მაშინ, პატარაობისას, თუ ეს მათხოვარა მწირი ღირსი გახდებოდა ძეგლისა და ჩემის თვალით ენახავდი ქრისტესიას „გაპატიოსნებას“. არქიმანდრიტი მამა პაისი რომ დაბინავდა საბოლოოდ რიცხვ-მრავალ კრებულით საფარას, სადაც მტრის მტარვალობას და ჟამთა ვითარებას გადარჩა ცამეტი თლილის ქვის ეკლესია, სხვათა შორის, ტულიაწმიდა საბასი, სადაც ეხა ფერადის საღებავით სარგისი, სამცხეს სპასალარნი: ყვარყვარე, შალვა და ათაბეგი-ბექა, მანდატურთ-უხუცესი, დამფუძნებელი და გამამშვენებელი ტაძრისა,—საწყალს ქრისტესიას, როგორც მეტ-ხორცს, აეკრიფნა გუდა-ნაბადი და აბარგულიყო. ის-კი აღარ ვიცი, დაიბერტყა გულ-დამწვარმა მწირმა ქრისტესიამ ფეხთა თვისთაგან მტვერი და დასტოვა საფარას, თუარა.

ბერი ქრისტესია უბერო საქმედ ვერ დარჩებოდა, როგორც თევზი უწყლოდ. თვის საყვარელს საფარას რომ განშორდა, დაიწყო თურმე ძებნა საქართველოს სხვა ნატამალისა. მალეც იპოვნა, რად-

ეს მეორე წელიწადია, 3 თუ 4 გამგე გამოიცვალა, ეხლა აირჩიეს ბ-ნი მარქაროვი, რომლისაგანაც სრული იმედია, რომ შრომას არ დაჰზოგავს და წესიერად მოაგვარებს მის საქმეებს.

წევრი.

—

ს. **დიდი-ჯიხაიში.** ამ სოფელში ძრიელ გახშირდა, ეს ერთი წელიწადია, თავდასხმა და ყაჩაღობა. ამას წინად, ღამის ათ საათზედ, კონსტანტინე ლეჟავას თავს დაეცნენ ბოროტ-გამზრახველები და ფულად 150 მ. წაართვეს, თვითონ მასპინძელი საბნით შეკრეს დ თვალები აუხვიეს, რომ არ ეცნო ბოროტ მოქმედნი. ერთს ვაშაკიძეს დაეცნენ და წაართვეს 500 მანეთი ფულად და ქალის სამკაული ნივთებიც, ღირებული 100 მანეთად. მაისის 27-ს, დღით, პარასკევს დიდი-ჯიხაიშის და სოფელ ჰაგანის სამზღვარზედ მდინარეში თავს წაადგნენ დამხჩვალ კაცს, ეს კაცი 16—17 წლის იქნებოდა; როგორც სჩანს, ის ქალაქიდგან მომავალი მუშა ყოფილა. ესეც ბოროტ მოქმედთაგან უნდა იყვეს მკვდარი და განზრახ წყალში გადაგდებული, რადგან წყალში დამხჩვალს სრულებით არ გავდა. მიცვალებულის პატრონი არა სჩანდა, მთელი ხუთი დღე ეგდო საწყალი წყალში უპატრონოთ და ბაყაყები თავზედ ესია, ის ვერ მოეფიქრებინათ აქაურს ვითომდა სოფლის მამებს, რომ უპატრონო მიცვალებულს დამარხვა უნდოდა: კიდევ კარგი, რომ ალექსი ხაცავას მეცადინეობით და ბაზრის ხალხის დახმარებით დაასაფლავეს ქრისტიანულის წესით, თორემ, შენი მტერი, ის ძაღლების ლუკმა შეიქნებოდა. გასაკვირველია, ღმერთმანი, რატომ აქამდის ყურადღებას არ აქცევენ ამგვარ მოქმედებასა, ნუთუ სანამ ათიასი არ გახდება მსხვერპლად ამგვარი ბოროტებისა, მანამ ყურებს არ გაიბერტყავენ სოფლის მაცხოვრებლები და არ დაეხმარებიან ისეთ დაბეჩავებულ ხალხს, რომ თავიდგან ააცილონ კაცის მკვლელობა?

სოფელში ხმებია, ვითომც მახლობელ სოფლის მცხოვრები გადავარდნილია, თავზარს სცემს ჯიხაიშელებსო, ამავე სოფელში იმალავს თავსო და ყოველს ოინებს ის სჩადისო. იმედია, აწი მაინც მიაქცევს ყურადღებას, ვისიც ჯერ არს. დალოცვილები, როცა ფულების შეკრების დრო მოვა, მათრახებით დარბიან სოფელში «ფული, ფულიო», გაიძახიან, და ის კი არ იციან, ხალხს დახმარება ეჭირვება ამისთანა დროს, რომ ორიოდე გროში გადაარჩინონ მცარცველებსა, ნუ თუ არ არის ეს ყურადღების ღირსი?

გიო მუდოლაძე.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

აი როგორ იხსენიებს და რა მშვენიერს სიტყვებს უძღვნის «რუსკ. სლოვოში» გარდაცვალებულ მოხუც კრიუგერის ხსოვნას ბ-ნი დოროშევიჩი:

მოხუცი კრიუგერი მიიცვალა. დიდმა დამამშვიდებელმა—სიკვდილმა მოსპო აუტანელი ტანჯვა, რომელსაც სიცოცხლე აწოდებოდა.

ქვეყანა ვეღარ იხილავს ამისთანა პატრიარქ-წინამძღოლს. ამ ჩვენს დროს ისე სჩანდა, თითქო ლანდია სხვა, ძველის-ძველ დროსიო.

პირზედ ეკერა სიტყვები ძველის აღთქმისა და თვითონაც ძველის აღთქმის კაცსა ჰგავნდა.

ჰგავნდა უფრო «მსაჯულს ისრაელისას», ვიდრე ახლანდელ გამგებელს ახლანდელის ერისას.

იქ, აფრიკის შორეულ კონცხზედ, სხვანაირად ჰგონებდა ჩვენსას, ევროპიელებისას.

ისა ჰგონებდა, რომ ჩვენ, ქრისტეანეხი, გსცდილობთ ღვთის წესისამებრ ცხოვრებას.

ერთს თავის ეპისტოლეში ასე სწერდა ინგლისელების მიმართ:

—თქვენ იმედები დამყარებული გაქვთ ამა და ამ ფსალმუნზედ. მართალი არა ხართ. აგრე არ უნდა გესმოდეთ ეგ ფსალმუნი. ჩვენი იმედები ამა და ამ ფსალმუნზედა გვაქვს დამყარებული. ჩვენ უფრო მართალნი ვართ.

გულ-უბრყვილოა, მაგრამ თან დიდებულიცაა!

როცა კრიუგერის ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა, დაეცა და ცოცხალ-მკვდარი, სულით-მობრძავი ძლივს განაგრძობდა ბრძოლას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე—კრიუგერმა დასტოვა სულთ-მობრძავი სამშობლო და წავიდა ევროპას, ქრისტეანებთან.

შევევედრები შეგვიბრალონ, მართალნი ვართ, შევთხოვ, ძმურად დაეხმარონ მართალს საქმეს, ქრისტეანულს შეწყალებასა ვსთხოვ ტანჯულთა და სულთ-მობრძავთათვის.

ევროპა მიეგება ტკბილის შაირებით, ყვავილთა კონებით, ტაშის-კვრით.

კრიუგერი შველას ევედრებოდა,—ისინი როსტანის ლექსთა კონას უძღვნიდნენ.

ამბობდა, რომ ჩემი ძმები ახლა სისხლისაგან იცლებიანო,—ისინი-კი კალათებით ყვავილებს უძღვნიდნენ.

გაფიცებთ ღმერთსა ცხოველსა:

— გვიშველეთ!

ამის პასუხად ისმოდა მხოლოდ ღაღადება:

— გაუმარჯოს კრიუგერს!

„ვინ მიაწოდებს ქვას პურის მთხოვნელსა!“

ვინ მოგვცემს შველას ევროპაში? საქრისტეანო ევროპაში?

დახმარების მთხოვნელს მიართვეს ყვავილები.

შველის მთხოვნელს წაუკითხეს საუკეთესო შაირები.

და ღაღადება—„გაუმარჯოს კრიუგერსაო“—შეუერთდა გმირულ რესპუბლიკის ხრიალს, ძალათი დამღრჩვალის რესპუბლიკის სასიკვდილო გმინვას.

ამ ოვაციებს, ყვავილებს, შაირ-ლექსებს მოხუცი გაექცა, სასიკვდილოდ გულში დაჭრილი, და დაბინავდა ევროპის ერთს მყუდრო, შორეულს კუთხეში. დაბინავდა, რომ იქ დაელია სული, იქ მოეოხნა გული ტირილით, ლოცვით...

# დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

8 ივლისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება დაბრძანა, მის უდიდებულესობის მადლობა გამოეცხადოს ნოვგოროდის გუბერნატორს გრაფ მედემს წესრიგის დაცვისათვის იმ ადგილებში, სადაც მისმა უდიდებულესობამ გაიარა და ინახულა ჯარი: ქალაქებში სტარაია რუსაში, ნოვგოროდში და სადგურ ჩუდოვოში.

**მუკდენი.** ხმა დადის ჩინელ მცხოვრებთა შორის, რომ სინმინტინის მიდამოებში იკრიბება ჩინელ ხუნხუზების ცხენოსანთა რაზმი, რიცხვით 2000; იმათ შორის იმყოფება თურმე 20 ჩინურად ჩაცმული იაპონიის აფიცერი, რომ ვითომ რაზმი ჰფიქრობდეს მუკდენზე და ტელინზე მოულოდნელ დაცემით გზის გაფუჭებას, რათა ამით ხელი შეუშალოს მთავარ ბანაკთან ჩვენის ჯარის შეუწყვეტელ კავშირს. ამ დღეებში იმ რაზმის ერთი ნაწილი მონგოლიაში გაჩნდა, კულოს ახლოს, და იმ საქონლის დიდი ჯოგი გარეკა, რომელიც მანჯურიაში გასაგზავნად იყო დანიშნული. ამ ხმების სიმართლე არ არის შემოწმებული.

**სამარა.** შეიპყრეს ყაზანის ტაძრის გაქურდვის ერთი მონაწილეთაგანი.

**ალექსანდრია.** მოვიდა ბრიტანიის ორი სათარეშო გემი.

**მალტა.** ბრიტანიის ორი სათარეშო და სამი პატარა ნაღმიანი გემი წავიდა ხმელთა შუა ზღვის ესკადრასთან შესაერთებლად, რომელიც უეჭველად ალექსანდრიისაკენ გაემართება.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, მის უდიდებულესობასთან 7 ივლისს 1904 წ.: «იმ მიდამოებში, სადაც ჯარი მოქმედობს, არავითარი ცვლილება არ არის. ღამე, 7 ივლისს, ჩვენი მზვერავთა რაზმი და ყაზახების ერთი ჯგუფი დაეცა იაპონიის საბაჟო დარაჯებს, რომელნიც ჩინურ სახლში იყვნენ მოთავსებულნი სოფელ ხუდიანზასთან, ტხავუანიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ 16 ვერსის მანძილზე; 21 იაპონელი დახოცილია ხიშტებით, საბაჟო დარაჯების პატარა გუნდმა კი მოასწრო ფანჯრიდგან მთებისაკენ გაქცევა, მაგრამ შეხვდა იაპონიის ერთ როტას, რომელიც მოსაშველებლად მოეშურებოდა. წართმეულ ქუდებისა და სხვა ნივთებიდგანა სჩანს, რომ საბაჟო დარაჯების გუნდი მე-4 გვარდიის პოლკის ჯარის კაცებისაგან შესდგებოდა. ჩვენ მოგვიკლეს ერთი მხროლელი და დაგვიჭრეს ოთხი.

**კონსტანტინეპოლი.** სოფელში, რომელიც მონასტირიდან ხუთ საათის სავალ მანძილზეა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ, მოხდა შეტაკება ოსმალეთის ჯარსა დ აჯანყებულთა შორის, რომელიც 15 კაცისაგან შესდგებოდა. მოკლულია 2 ჯარის კაცი და 5 აჯანყებული. დანარჩენნი გაიქცნენ. ეს გუნდი ამ ახლო ხანში მოვიდა ბულგარიიდგან.

9 ივლისი.

**ლონდონი.** (რეიტერის სააგენტო). ჰილდგოლში დღესასწაულის დროს ლორდმა კერზონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ არავითარი ეჭვი არა აქვს იმ პოლიტიკის შესახებ თიბეთში, რომლითაც მან მთავრობას ურჩია ხელმძღვანელობა. განსაკუთრებით მას შემდეგ თიბეთს სხვა სახელმწიფოს დახმარებას იმედი აქვს. თიბეთის შესახებ საშიში მდგომარეობა მართალია და დაუყოვნებელი. მას იმედი აქვს, რომ ინგლისელებსა და თიბეთელთ შორის საუკეთესო განწყობილებას აღადგენს. გემ «მალაკას» საქმის მიერ გამოწვეული მღელვარება მატულობს უკანასკნელად მოსულ ცნობებით, ოპოზიციის მეთაურებს, როგორც ამბობენ, თანხმობა განუცხადებიათ, რომ მთავრობის ყოველს მოქმედებას დაუჭერენ მხარს, რომელსაც კი უკანასკნელი დაიწყებდა მეწამულ ზღვაში მომხდარ ტაციაობის შესახებ. «Peninsular Oriental»-ის საზოგადოება ირწმუნება, რომ ერთად-ერთი სამხედრო ბარგი «მალაკაზედ» იყო 40 ტონი სამხედრო სურსათი, რომელიც გაეგზავნა ბრიტანიის მთავრობას ჰონკონგის ნავთსაშენებელის სუპერ-ინტენდანტს. გამოირკვა, რომ «სმოლენსკს» და «პეტერბურგს» არამც თუ დარდანელი გაუვლიათ, არამედ სუეცის არხიც სავაჭრო ბაირაღით. ინგლისის ელჩმა მიჰმართა რუსეთის მთავრობას კერძო ნოტაში გამოთქმულის ცხარე პროტესტით. ნოტა თხოულობს დაუყონებლივ გემის დაბრუნებას იმ მიზეზით, რომ რუსის მთავრობას არავითარი უფლება არა ჰქონდა, და რომ რაც გემზედ სამხედრო სურსათი იყო, დიდ ბრიტანიის მთავრობას ეკუთვნის. ყუთებზედ ცხადი ნიშანია—ისარი. ეს ნიშანი ცნობილია, როგორც ოფიციალური დამღა ინგლისის მთავრობისა. ნოტის ბოლოში ნათქვამია, თუ რა მძიმე შედეგიც შეიძლება მოჰყვეს ამას.—ყველა გაზეთები სწერენ ინგლისის პროტესტის გამო «მილაკას» დაჭერის შესახებ. «დეილი ტელ.» ამბობს, რომ ლორდმა ლანდსდოუნმა გაამართლა ხალხის ნდობა, რადგანაც მტკიცე გადაწყვეტილებით და სისწრაფით მოქმედობს, რაც მოგვაგონებს ნაციონალურ პოლიტიკის მძლავრს ხანას.—„დეილი გრაფიკი“ იმედოვნებს, რომ რუსეთის მთავრობა გაათავებს საქმეს სწორედ ისე, როგორც მხოლოდ შესაძლებელია.—«დეილი ქრონ.» ამბობს: ცხადია, სათარეშო გემის «პეტერბურგის» უფროსმა დიდი შეცდომა ჩაიდინა თავის მოქმედებითაო. «მორნ. პოსტი» შენიშნავს, რომ დიდ ბრიტანიისთვის «მალაკას» დაჭერის არაფრად ჩაგდება უნდა ნიშნავდეს 1871 წლის ლონდონის პირობის დარღვევას.—«სტანდარტი» სწერს: «ჩვენ ველით ცნობას, რომ გემი «მალაკა» დაბრუნებულია დაუყოვნებლივ. საუბედუროთ, თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ მოგვიხდება ბრძანება გაუგზავნოთ ჩვენს მთავარსარდალს ხმელთა შუა ზღვის ესკადრისას.

**ქაირი.** (რეიტ. სააგ.). რუსნი, რომელთაც «მალაკა» შეიპყრეს, გემზედ

---

გან ქართველს დიდ ხანს არ მოუნდება ძებნა წარსულის ნაშთისა. ბორჯომის ხეობაში გამოეძებნა ერთი გაოხრებული მონასტერი, შეჰკედლებოდა და დაეწყო მისი ჩვეულებრივი გამშვენიერება. სამუდამო განსვენებაც ქრისტესიას აქ უპოვნია: იგი გარდაცვალილა 30 მაისს 1892 წ.

ახალციხის ქართველობას კარგი უნებებია, რომ გაუხსენებია ღვაწლი თვისის მოამაგე ბერისა და მცირე ძეგლი დაუდგამს: საფარას ქვის ზღუდე ადვლია. ძეგლი სწორედ ალაყაფის კარ წინაა. მართალია, საფარას მოამაგე და მოჭირნახულე ღირსი იყო, რომ ზღუდეთა შორის აეგოთ ძეგლი და არა გარედა, მაგრამ ესეც კარგია. ალბად ახალციხელმა ქართველობამ შიგნით ვერ მოახერხა ძეგლის აგება, ვინაიდგან დღევანდელი ქართველი ძველებურად აღმართს ვეღარა ჰხნავს.

ძეგლს რუსულ-ქართული წარწერა აქვს. ქართულად ასეა: «ახალციხის ქართველთა საზოგადოებამ ნებართვით მეუფე საქართველოს ეგსარხოსისა აუგეთ ძეგლი 1893 წ. ბერს ქრისტესიას სახსოვრად მისის დაუღალავის შრომისა საფარის მონასტრისათვის». რუსულად: «Ахалцихское грузинское общество съ разрѣшенія Владыки Экзарха Грузіи воздвигло памятникъ сей въ 1893 г. рясофору Христесію въ память неутомимаго труда его для Сафарскаго монастыря. Погребенъ 30 мая 1892 г».

საფარას ქრისტესია ბერი მაინც დარაჯობდა და გუშაგობდა, წელიწადში ორჯელ-სამჯელ მაინც აანთებდა სანთელს საბას ეკკლესიაში და მტვერს მოაცლიდა ამ ტაძრის აშენებელს ბექას, მესხეთის ამ შესანიშნავს კანონ-მდებელს,—ვარძიისთვის ბედმა მწირიც კი (რიასოფორი) დაიშურა.

1854 წლამდე ვარძიის გამოქვაბული მონასტერი, მისი მშვენიერი წარუხოცელ ფერადებით შემკული ეკლესია დიდებულ თამარის სურათით «ძალისა და ღირის» ანაბარად ყოფილა დაგდებული. ამ წელს ოსმალეთიდან გამოქცეულა ვიღაც ბერძენი, გვარად პაპანდოპულო. როგორც მომეტებული ნაწილი ოსმალეთიდან მოსულ ბერძენთა, ეს პაპანდოპულოც ქვის მთლელი ყოფილა. შემთხვევით ვარძია უნახავს და ფიქრად მოსვლია მონასტრის აღდგენა. მაშინდელ ეგზარხოს ისიდორესაგან ნებართვა აუღია და საქმეს შესდგომია. ეკლესია გამოუგვია, ალაგ-ალაგ გზები შეუსწორებია, იაფ-ფასიანი კანკელი დაუდგამს, აი სოფლის ყავრით დახურულ ხის ეკლესიებში რომაა ხოლმე, იმისთანა, ერთის სიტყვით, ღვთის მშობლის დიდი ტაძარი საკურთხევლად მოუმზადებია.

ჟურნალი «მწყემსი», რედაქცია დეკანოზ დ. ღამბაშიძისა (იხ. Древній Вардзійскій монастырь, გვ. 14) გვიამბობს, რომ ვითომ არქიეპისკოპოსს ევსევის ვარძია დაუთვალიერებია 1857 წელს და უკურთხებია პაპანდოპულოს მიერ გამზადებული ეკკლესია. კურთხევის შემდეგ მალე განუწესებიათ წინამძღვარი კრებულით. ყოვლად სამღვდელო კირიონი კი თავის შესანიშნავ მეცნიერულ გამოკვლევაში, რომელიც აშენებულია საარქივო მასალასა და დოკუმენტებზე, ამბობს, რომ საქართველოს ეკლესიას განაგებდა მიტროპოლიტი ისიდორე 1844 წ. 12 ნოემბრიდან 1858 წლის 1 მარტამდეო. (იხ. Краткій очеркъ исторіи грузинской церкви экзархата за XIX столѣтіе, გვ. 23). თუ მართალია, რომ ვარძიის დიდი ეკლესია უკურთხებიათ 1857 წელს, მაშინ ისიც მართალი იქნება, რომ იგი უკურთხებია ევსევის კი არა,—მიტროპოლიტ ისიდორეს, რომელიც მწყემსმთავრობდა საქართველოს ეკლესიას 1858 წ. 1 მარტამდე.

პიონერობა ვარძიის განახლებისა ეკუთვნის ოსმალოელ ბერძენ პაპანდოპულოს. ეს ჭეშმარიტი ამბავი ჭეშმარიტად დარჩება. «მწყემსის» მიერ დაბეჭდილი ბროშურა (1—14 გვ.) სხვა ღირსებასაც მიაწერს პაპანდოპულოს. ღვთის მოშიში და სწორედ ნამდვილი ქრისტეანე იყოვო. სული შეუშფოთდა, ასე გავერანებული და გაოხრებული რომ იხილა საქართველოს ძველი შესანიშნავი საქრისტეანო სახსოვარი და, აღტყინებული რელიგიურ გრძნობით, საქმეს შეუდგაო.

შორიდან პაპანდოპულოს ამბავი ისე გვეჩვენება, რომ მადლობის მეტი არა გვეთქმის რა, საქმით კი ცოტა სხვა ელფერი ედება მის ხასიათსა და ნამოქმედარს. პაპანდოპულო იმასაც კი ვერ ეღირსა, რომ ვარძიაში დასაფლავებულიყო. სადღაც, ვარძიას გარეთ, მიუბარებიათ ცივ დედამიწისთვის პაპანდოპულოს გვამი. მთავრობას არ მოესურვა მისი «გაპატიოსნება» და ღირსად არ ეცნო, რომ ვარძიის «განმაახლებელის» გვამი ვარძიაშივე დამარხულიყო. ნამდვილი მიზეზი ასეთის სასტიკობისა არ ვიცი, გაგონებით კი ეს გავიგონე, რომ ბატონი პაპანდოპულო ვითომც გაკრეჭილი მღვდელი ყოფილიყოს, რაღაც ბოროტებანი ჩაედინოს სამშობლოში და, რომ თავიდან აეშორებინა ღირსეული სასჯელი, საქართველოში გამოქცეულა.

ამ ოცის, ოცდა ათის წლის წინად ხშირად შეხვდებოდით რუსეთსა და საქართველოში მაწანწალა მღვდლებს, რომელნიც გულ-უბრყვილო ერში ბლომად აგროვებდნენ ხორბალსა და ფულს. ჩვეულებრივ თავს იკატუნებდნენ, ოსმალებმა დაგვარბიეს, ეკლესია დაანგრიეს, სოფელი ამოაგდეს და მრევლი გაგვიჟლიტესო. ან კიდევ შესაწირავს აგროვებდნენ ათონისა და იერუსალიმის ტაძარ-მონასტრებისთვის. მათს ვინაობას არავინ იძიებდა და ისინიც თამამად ჰკრეფდნენ უბრალო ხალხსა და მდიდარ ვაჭრების ცოლშვილსა.

მთავრობამ რომ გამოიკვლია მათი ვინაობა, ვინ იცის, რა არ აღმოჩნდა. ზოგი კაცის-მკვლელი გამოდგა, ზოგი სათოკე ყაჩაღი, ზოგი კიდევ ცრუპენტელა მატყუარა, გაიძვერა და ვერაგი. ეს კიდევ არაფერი. მართლ-მადიდებელ მღვდლობას ირჩმევდა სომეხ-გრიგორიანი და კადნიერად ვაჭრობდა მდაბიო ხალხის წმინდა რელიგიურ გრძნობით. ამისთანა ლირფებს თვით სომხის ერმა კოხტა და მოხდენილი სახელი უწოდა, «ხაჩაგოგი», ანუ ჯვრისპარია.—ვარძიის განმაახლებელი პაპანდოპულო, ვინ იცის, ეგები, ხაჩაგოგის ჯურის მოღვაწე გახლდათ.

პაპანდოპულოს მიერ აგებული კანკელი ერთი რაღაც უშნო, ულაზათო ნათუთხნია. აფსუს, დიდებულო ტაძარო, რომ მარტო ასეთს «შეკეთებას» ეღირსე და მერე ვისგან? მაწანწალა, ოსმალეთიდგან მოთრეულ ბერძნისაგან!

კანკელის სიგრძეზე, ზედ აღსავლის კარზე, ბერძნული წარწერაა. სწორედ დიდი სირცხვილია და თავის მოჭრა, რომ თამარ დედოფლის მიერ აშენებულს ეკლესიაში დღეს წარწერაა გამოჭიმული ვიღაცა უთვისტომო პაპანდოპულოსი აღსანიშნავად ალბად იმ ამბისა, რომ დანგრეული ტაძარი განაახლა და კანკელი ააგო ოსმალეთიდან ჩამოსულმა პაპანდოპულომ სადიდებლად ღვთისა, სოხად სულისა თვისისა და მისატევებლად ცოდვათა. ცოდვათა მიტევება რომ ეჭირვებოდა პაპანდოპულოს, ეს გარკვევით ვიხილეთ, მაგრამ მაწანწალა კაცის ცოდვათა მისატევებლად და სოხ ასპარეზად განა თამარის, ამ საქართველოს ღვთაების და ბრწყინვალების ემბლემის, ტაძარი უნდა გახდეს? გესლიანი ირონიაა, დაცინვა ბედისა, მაშ რა არის?

პაპანდოპულოს ჩხირკედელაობა, მისი სურვილი, რომ ვარძიაში დაკრძალულიყო, ბერძნული წარწერა კანკელზე—გარდაქცეულა იმ ანდამატად, რომელიც იზიდავს ბერძნობას ვარძიაობას, თორემ კარელს, განჯელს და წალკელს ბერძნებს რა მოარბევინებს ამ სიშორეზედ სალოცავად? განა ცოტაა საქართველოს განთქმული წმიდანები მათ ბინის ახლოს? ვარძიას თავისი საკუთარი «წმიდანიც» კი არა ჰყავს, როგორც, მაგალითებრ, თოთო-ოროლა ეკკლესიას, საწაულთ-მომქმედი ღვთის-მშობელი, ან სარკეს წმ. გიორგი, ილორისა და სხვა. ოღონდაც რომ არის, მაგრამ ეტყობათ, რომ ოხრად დატოვებული ქართველთაგან გამოქვაბული მონასტერი, სადაც უცოდვილია პაპანდოპულოს, ნიშანში ამოუღიათ და ჰლომიან წარიტაცონ, ვინაიდგან ადვილია მისი დაჩემება, და გარდაჰქმნან თვის ეროვნულ «სიწმიდეთ».

იქნება ბერძნებს იზიდავს ქვისა და ლოდის ტრფიალი? მოგეხსენებათ, რომ ბერძნებს დიდად ეხერხებათ ქვის და ლოდის ტეხა, გამოკუთხვა, დარგვალება და გალამაზება და, რადგან ვარძია კლდეშია გამოქვაბული, იმისათვის გული აქეთ უფრო უწევთ. ქვა და ლოდი დიდის სიამოვნებით დაგვითმია მათთვის, მაგრამ ჩვენს ისტორიულ ნაშთთან რა ხელი აქვთ? ნუ თუ ჩვენი სამღვდელოება ისე დაძაბუნდა, ისე დაკნინდა, რომ აღარ შესწევს ზნეობრივი ძალა მოსეულს ხმა მაღლა უთხრას—შორს ჩვენგან, ეშმაკეულო და განვედი, კათაკმეველოვო? ალბად დაკნინდა, რომ მარტო მრევლთან დავი-დარაბაში ამოსდის სული... ეროვნული ეკლესიის ინტერესის დაცვა და ზრუნვა სხვას ჩააბარა და თვითონ-კი მარტოოდენ მსუქან ტაბლებისათვის ჰფიქრობს.

ა. ფრონელი.

მყოფთ ინგლისელთ დიდის თავაზიანობით ეკიდებიან.

**პორტ-საიდი.** (რეიტერის სააგ.). ის გარემოება, რომ განსაკუთრებული თვალ-ყური ეჭირათ «მალაკკაზე» და მისი შეპყრობა გამოუწვევია საიდუმლო მოხსენებას ანტვერპენიდან. ამ მოხსენებაში წერებულა, რომ გემზედ არის სამხედრო მასალა და ლითონის ნაწილნი ძირიდან ასაწევ აზარმაცისა. „მალაკკა“ მოვიდა პორტ-საიდს განთიადისას, 7 ივლისს. უფროსმა მოითხოვა 400 ტონნი ნახშირი, 220 ტონნი სასმელი წყალი და სალეველი შერბურგამდე. თხოვნა ეგვიპტის მთავრობას წარედგინა. ამ შემთხვევისთანა მაგალითი ჯერ არ ყოფილა. სამხედრო დავლამ პირველად გაიარა არხი. ამბობენ, რომ «მალაკკას» ნახშირი ბლომადა აქვს და არც სასმელი წყალი ეჭირვება ძრიელათ. გემს შეეძლო იმავ დღეს დილით წასულიყო. «მალაკკა» მოვიდა რუსთა სამხედრო ფლოტის კაპიტანის უფროსობით. გემის რაზმის კაცნი გამოცხადებულ იქმნენ ტყვედ შეპყრობილებად და აღეკრძალათ რაიმე კავშირი იქონიონ. შეიარაღებულნი დარაჯნი იცავენ კიბეს. ინგლისელ გემის უფროსს, რომელმაც პროტესტი განაცხადა ასეთის საქციელის წინააღმდეგ, რამდენჯერმე დაპატიმრებას ემუქრებოდნენ.

**ბერლინი.** გერმანიის პეტერბურგელ წარმომადგენელის გამოცხადებულ პროტესტზედ რუსის მთავრობის პასუხი მიღებულია, სადაც ნათქვამია, რომ მას აქამდის არ მიუღია განცხადება ოფიციალურად და არც დააყოვნებს ახლო მომავალში საქმის გამოძიებას და თავის აზრსაც გამოსთქვამს ამის შესახებ. საფოსტო ტომრების რიცხვში, რომლებიც გადაარჩინეს «სმოლენსკზედ» და გადაიტანეს გემ «პერსიაზედ», ერია ინგლისური და იტალიური. ორის საფოსტო ამანათის შესახებ, რომლებიც გაგზავნილია ნაგასაკს და რომლებიც აიღეს საფოსტო ტომრიდან და სმოლენსკზედ დარჩა, ჯერ არაფერი იციან.

**ადენი.** საფრანგეთის კამპანიის «მესაჟერი მარიტიმ»-ეს გემმა გაიარა მეწამულ ზღვაში, დარაჯად მყოფ გემებ «პეტერბურგისა» და «სმოლენსკის» თვალ წინ და არც კი შეუჩერებიათ. გემი «ფალავანიც» «Penin. orient.»-ის კომპანიისა, არ შეუჩერებიათ.

**ტოკიო.** რუსეთის ესკადრამ კუნძულ ხოკაიდეს მახლობლად ზღვაში ჩაჰლუპა პატარა საბარგო გემი. გემზედ მოსამსახურენი და მგზავრები გადაარჩინეს.

**ტიან-ძინი.** ნიუ-ჯუანიდგან მიღებულ წერილის თანხმად, რუსის ნალმოსნის კომანდირს უცნობებია, შემთხვევით ნალმიანი ყუმბარა მოვარტყი ინგლისის გემს პეჩილიის ყურეში. ჰფიქრობენ, უგზოუკვლოდ დაკარგულ გემ «ჰიპსენგზე» თუ არის ლაპარაკიო.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). რუსეთის ელჩს 7 ივლისს ხანგრძლივი ბჭობა ჰქონდა ლანსდოუნთან და 8 ივლისსაც კვალად მოვიდა მოსალაპარაკებლად გარეშე საქმეთა სამინისტროში. ლაპარაკის საგნად, როგორც ამბობენ, დატყვევებული გემი «მალაკკა» უნდა იყოს. საღამოს მინისტრთა კრება იყო.

თიბეთიდგან იწერებიან, ინგლისის ჯარმა ლხასსის უღელტეხილი გადიარა, გზაზე ცოტაოდენი წინააღმდეგობა გაუწიეს, მცირეოდნად ავნეს კიდეცო. ჯარი ეხლა დაბანაკებულია 92 მილის სიშორეზე ლხასიდგან.

**ბაქო.** ბაქოს გუბერნატორმა, საგუბერნიო ექიმისა და მწერლობის წარმომადგენელთა თანადასწრებით, დაათვალიერა სამკურნალო-სათვალყურო სადგური ზიხტის ყურეში. სადგური და მოწყობილება სუფთად დახვდა. დეზიფექციას სიმენს და გალსკეს მანქანით აკეთებენ. მგზავრებმა განაცხადეს, დეზინფექციამ ნივთები სრულიად არ გაგვიფუჭაო.—თეირანში ყოველ დღე 240 კაცი ჰკვდება.

**სოფია.** (ოპოზიციის წყარ.). მაკედონიიდგან სანუგეშო ამბები მოდის. რადგან ფორმალურად დამტკიცდა რომ, ოსმალი სალდათები ძალმომრეობით მოპყრობიან გუშინჯეს მცხოვრებთ, მთავრობამ სასტიკი ღონის ძიება მიიღო მშვიდობიანობისა და მყუდროების დასაცველად.

**დრონტგეიმი.** იმპერატორი ვილჰელმი მოვიდა.

**მალტა.** ნალმოსანი «ვულკანი», საგზირო «სპიდი» და «მარრი» და კრეისერი «პორამუსი» წავიდნენ, რომ ესკადრას შეუერთდნენ.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

6 ივლისი 1904 წ.

**ვექსილის კურსი 3 თვით:**

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,00 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92½ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | 88 გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 387 ნის. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 300½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 262 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 83¼ წვ. გაყ. |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 10-ს მკათათვისათვის, დღისით, 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემათ რიყის ექსპლუატაციისა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ სიპის ქვისა და ქვიშის ამოსაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათიდამ 1 საათამდე, საქმის დღეებში. (2—6—2).




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდონბრინი“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°

Одекалонъ
„Кристаль“

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ს. ბ. თოფურიას**
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



რ ო ი ა ლ ე ბ ი  პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, კიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНЦАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—5)

## იყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.**
(5—5).

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

**კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგო ტრეფნერისა**

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების წლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

## საუკეთესო სააგარაკო ადგილები

# ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

## ი ყ ი დ ე ბ ა

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

**ფრიად საჭირო ოქრო და ბრილიანტი**

**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**
**მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით**

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

## ი ა ფ ი  გ ა რ ნ ი ტ უ რ ი

**მ ხ ო ლ ო დ 4 მ ა ნ. 45 კ ა პ. გ ა ზ ზ ა ვ ნ ი თ**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის ს ა ა თ ს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძ ე წ კ ვ ს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბ რ ე ლ ო კ ს, კ ო მ პ ა ს ს ან ბ ი ნ ო კ ლ ს ან ვ ე ნ ზ ე ლ ს, 4) ს ა წ ე რ ი ა რ ა ღ ს- რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მ ე- შ ი ს კ ო ხ ტ ა ქ ი ს ა ს სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტ ყ ა ვ ი ს, პ ო რ ტ მ ო ნ ე ს ქ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Луврь“. Варшава* 32/323

აზიის რუსეთში ₰ ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)



# ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

# ტყავის საქონელი

რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო  ს ა ხ ლ ი ს

## „ლ ე ო პ ო ლ დ  ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—14).